საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1014

05/11/2020

ქ. თბილისი

ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფ. გელათში, ინდივიდუალური მეწარმე გელა ალფაიძის სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი) საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

ინდივიდუალური მეწარმის, გელა ალფაიძის (პ/ნ 60001019471) მიერ, გზშ-ის საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფ. გელათში სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი) საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიაზე უკვე განთავსებულია სასარგებლო წიაღისეულის გადასამუშავებელი საწარმოს ინფრასტრუქტურის ნაწილი. შესაბამისად, აღნიშნული სკრინინგის განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ ინდივიდუალურ მეწარმე გელა ალფაიძეს დაგეგმილი აქვს ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფ. გელათის ტერიტორიაზე, ბეჟან იამანიძისაგან იჯარით აღებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 39.07.28.039) ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის ექსპლუატაცია. აღნიშნული ნაკვეთის GPS კოორდინატებია: X - 314693, Y - 4685374; X - 314698, Y - 4685366; X - 314704, Y - 4685368; X - 314668, Y - 4685339; X - 314661, Y – 4685349. ტერიტორია მდებარეობს ქუთაისი-ტყიბულის საავტომობილო გზის ჩრდილო-დასავლეთით, 85 მ-ის დაშორებით, ცენტრალური გზიდან ტერიტორიაზე შედის ღორღით მოშანდაკებული გრუნტის გზა. აღნიშნულ საწარმოში დაგეგმილია მშრალი მეთოდით წლიურად 200 ტ ქვის გადამუშავება. საწარმო იმუშავებს წელიწადში 200 დღე, 8-საათიანი სამუშაო გრაფიკით. დასაქმებული იქნება 4 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოს ტერიტორია ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის მხრიდან შემოღობილია 2 მეტრამდე სიმაღლის მასიური კედლით. ტერიტორიაზე მოწყობილია საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის ელემენტების ნაწილი: ყბებიანი სამსხვრევი, მბრუნავი ცხავი და პროდუქციის ხაროები. ნაკვეთს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ესაზღვრება ქვის (ტეშენიტის) დამამუშავებელი საწარმო, რომელიც განთავსებულია დახურულ, კაპიტალურ შენობაში. 170 მეტრის დაშორებით მდებარეობს მდ. წყალწითელა. ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს გრუნტის გზა, ხოლო საწარმოს მოპირდაპირე მხარეს განთავსებულია კაპიტალური ღობით შემოსაზღვრული მიწის ნაკვეთი, რომელზეც

შენობა-ნაგებობები არ ფიქსირდება. აღნიშნული ტერიტორიის უკან განთავსებულია უფუნქციო კლუბის შენობა. ჩრდილო-აღმოსავლეთიდან, ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან 53 მ-ის (ხოლო ტექნოლოგიური დანადგარიდან 70 მ-ის) დაშორებით მდებარეობს სოფლის სამედიცინო ამბულატორია. უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ტერიტორიის ჩრდილოეთით, დაახლოებით 110 მ-ის დაშორებით. ობიექტიდან 1,4 კმ-ში მდებარეობს გელათის სამონასტრო კოპლექსი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოში ნედლეულის სახით გამოყენებული იქნება ტეშენიტისა და კირქვის ქვები ან/და ტეშენიტისა და კირქვის ხერხვის დროს მიღებული მცირე ზომის ნატეხები. აღნიშნული ნედლეულის შემოზიდვა დაგეგმილია საწარმოს სიახლოვეს არსებული ქვის დამამუშავებელი საწარმოებიდან, მათ შორის, ტერიტორიის გვერდით არსებული ობიექტიდან.

სკრინინგის განცხადების თანახმად, თავდაპირველად ნედლეული ჩაიყრება სამსხვრევში, საიდანაც დამსხვრეული ქვა გადაინაცვლებს ტრანსპორტიორის ლენტაზე, რომლითაც მიეწოდება ცილინდრულ მბრუნავ საცერს. აღნიშნული საცერი შედგება სამი სხვადასხვა ზომის (5 მმ, 15 მმ და 30 მმ) ცხაურისაგან. შესაბამისად, ტექნოლოგიური პროცესის შედეგად მიიღება ქვის 0-5 მმ-იანი, 5-15 მმ-იანი და 15-30 მმ-იანი ფრაქცია. მიღებული პროდუქცია გროვდება საცრის ქვეშ განთავსებულ ხაროებში, რომელთა შევსების შემდეგაც პროდუქცია გადაიტანება შესაბამის ბაქნებზე.

საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში მოსალოდნელია არაორგანული მტვრის გამოყოფა. იდენტიფიცირებულია გაფრქვევის 5 წყარო, საიდანაც წლის განმავლობაში მოსალოდნელია 0,484 ტ მტვრის გაფრქვევა. სკრინინგის განცხადების თანახმად, მტვრის მცირე მოცულობიდან გამომდინარე, როგორც უშუალოდ საწარმოს ტერიტორიაზე, ისე უახლოეს მოსახლესთან და ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარიდან 70 მ-ით დაშორებულ ამბულატორიასთან, ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების დონისთვის გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის.

ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის მუშაობის პროცესში აგრეთვე მოსალოდნელია ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება. სკრინინგის განცხადების თანახმად, დანადგარის ექსპლუატაციისას ხმაურის დონე შეადგენს 85 დბა-ს, ხოლო ხმაურის გავრცელებასთან დაკავშირებული გამოთვლები ჩატარდა დანადგარიდან 70 მეტრში მდებარე ამბულატორიასთან მიმართებით და დადგინდა, რომ აღნიშნულ ობიექტთან ხმაურის მოსალოდნელი დონე შეადგენს 47,62 დბა-ს. როგორც წარმოდგენილ დოკუმენტაციაშია აღნიშნული, ამბულატორიასა და საწარმოში განთავსებულ დანადგარს შორის ტერიტორია შემოღობილია 2 მ სიმაღლის ბლოკის კედლით და ღია გარემოში კაპიტალური კედლის ეფექტიანობა შეადგენს 15 დბა-ს. გარდა ამისა, საწარმო განთავსებულია ამბულატორიის ყრუ კედლის მხარეს, შესაბამისად, სამსხვრევის ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხმაური აღნიშნულ ობიექტში არ გადააჭარბებს კანონით დადგენილ 40 დბა-ს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობის განხორციელებისათვის შერჩეული ნაკვეთი წლების განმავლობაში გამოიყენებოდა სამეწარმეო დანიშნულებით, ტერიტორია მოშანდაკებულია და შესაბამისად, ნიადაგსა და გრუნტის ხარისხზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. გარდა ამისა, საწარმოს მიმდებარედ არ ფიქსირდება წითელი ნუსხის სახეობები, ცხოველთა მრავალფეროვნება, ტყით მჭიდროდ დაფარული და დაცული ტერიტორიები. შესაბამისად, მოსალოდნელი არ არის მცენარეულ საფარსა და ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება.

საწარმოში წყლის გამოყენება დაგეგმილია მხოლოდ სასმელი მიზნებისათვის. აღნიშნული დანიშნულებით წყლის შეძენა მოხდება ბუტილირებული სახით. ვინაიდან ობიექტზე ნედლეულის დამუშავებისას დაგეგმილია ქვის მსხვრევის მშრალი მეთოდის გამოყენება, მოსალოდნელი არ არის საწარმოო წყლების წარმოქმნა და ზედაპირულ წყლებზე პირდაპირი ზემოქმედება. ზედაპირული წყლების დაბინძურება მოსალოდნელია საწარმოში საყოფაცხოვრებო ნარჩენების არასწორი მართვისა და ავტოტრანსპორტიდან საწვავის ავარიული დაღვრისას. სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში უზრუნველყოფილი იქნება აღნიშნული შემთხვევებისგან ტერიტორიის დაცვა.

ტექნოლოგიური პროცესის დროს არ წარმოიქმნება საწარმოო ნარჩენები. ობიექტზე წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ნარჩენები შეგროვდება კონტეინერში და განთავსდება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე.

ვინაიდან საწარმო მდებარეობს ანთროპოგენური დატვირთვის მქონე ზონაში და მის სიახლოვეს ფუნქციონირებს ქვის სახერხი საწარმო, მოსალოდნელია გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება. სკრინინგის განცხადების თანახმად, ვინაიდან აღნიშნულ ქვის სახერხ საწარმოში ქვის დამუშავების პროცესი სველია, ხოლო საპროექტო სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარის ფუნქციონირებისას წარმოქმნილი მტვრის ოდენობა - მცირე, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების მაჩვენებლების დასაშვებ ნორმებზე გადაჭარბება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, სკრინინგის განცხადების მიხედვით, მიმდებარედ არსებული საწარმოს ტექნოლოგიური დანადგარები განთავსებულია კაპიტალურ შენობებში, შესაბამისად, ხმაურის კუთხით, ფონურ მდგომარეობაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით დგინდება, რომ საქმიანობის ადგილმდებარეობისა და საქმიანობის მასშტაბების გათვალისწინებით, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი) საწარმოს ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ტყიბულის მუნიციპალიტეტში, სოფ. გელათში, ინდივიდუალური მეწარმე გელა ალფაიძის სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი) საწარმოს ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. ინდივიდუალური მეწარმე გელა ალფაიძე ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს

გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს ინდივიდუალურ მეწარმე გელა ალფაიძეს;

4. ბრძანება ძალაში შევიდეს ინდივიდუალური მეწარმე გელა ალფაიძის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ტყიბულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი